საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №1689
2012 წლის 16 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს" წესდების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 24 ნოემბრის №702 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -„საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს" წესდება".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის უფროსი **თეიმურაზ ჯანაშია**

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს" წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის სრული სახელწოდებაა – ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო".

2. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, სააგენტო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იგი სარგებლობს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ყველა უფლება-მოვალეობით, რომელიც მინიჭებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, „საჯარო სამართლის იურდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე წესდებით. სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

3. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, ხარჯთანუსხა და ბეჭედი სააგენტოს სახელწოდებითა და საქართველოს გერბის გამოსახულებით.

4. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, შ. დადიანის/გალაქტიონის ქ. 13/18.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები და ამოცანები

სააგენტოს საქმიანობის მიზნებია:

ა) სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ასევე ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა უზრუნველყოფა მათი საქმიანობისათვის საჭირო, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი პირობებით;

ბ) გადაცემული ქონების მშენებლობა, აღჭურვა, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობა, რეკონსტრუქცია, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარება;

გ) საინვესტიციო პროგრამებისა და მშენებლობის საინვესტიციო პროექტების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) სამთავრობო დელეგაციებისა და უმაღლესი დონის სტუმრების (მათ შორის, საზღვარგარეთიდან ჩამოსული) მომსახურება საჭიროების შემთხვევაში;

ე) სახელისუფლებო დაწესებულებათა წარმომადგენლების, ასევე სააგენტოს მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისი კონტინგენტის მიღება და სათანადო მომსახურება;

ვ) სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსა და/ან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დავალებით სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტების აღჭურვა, კეთილმოწყობა, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარება და სერვისული მომსახურება.

მუხლი 3. სააგენტოს უფლებამოსილებანი
წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად სააგენტოს უფლება აქვს:
ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს მონაწილეობა კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაში;

ბ) დადგენილი წესით მოითხოვოს ხელისუფლების ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან თავისი საქმიანობისათვის აუცილებელი, კანონმდებლობით ნებადართული ინფორმაცია;

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგოს მის გამგებლობაში არსებული ქონება და ფულადი სახსრები;

დ) არსებული წესის მიხედვით დაამყაროს ურთიერთობა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის სხვა ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს მათთან ხელშეკრულებები;

ე) დადგენილი წესით განახორციელოს სააგენტოს კადრების აღრიცხვა, შერჩევა და დაკომპლექტება, ხელი შეუწყოს სააგენტოში დასაქმებულ სპეციალისტთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ვ) მოიწვიოს კვალიფიციური სპეციალისტები საკონტრაქტო წესით;

ზ) დადგენილი წესით განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმომადგენლების გაგზავნა;

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, როგორც დამოუკიდებლად, ისე წილობრივი მონაწილეობით;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვები;

კ) განახორციელოს კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი მისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონების მიმართ;

ლ) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი;

მ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 4. სააგენტოს მართვა
1. სააგენტოს მართვას ახორციელებს სააგენტოს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი.
2. სააგენტოს დირექტორს ჰყავს ხუთი მოადგილე. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე. დირექტორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსთან შეთანხმებით. ფუნქციებს დირექტორის მოადგილეებს შორის ანაწილებს სააგენტოს დირექტორი.

3. სააგენტოს დირექტორი:

ა) ახორციელებს სააგენტოს საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სახელშეკრულებო, საფინანსო საქმიანობას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვას;

ბ) უშუალოდ ან რწმუნებული პირის მეშვეობით წარმოადგენს სააგენტოს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან ურთიერთობისას, აგრეთვე სასამართლო ორგანოებში;

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს გამგებლობაში არსებულ ქონებას, უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვას;

დ) დადგენილი წესით ახორციელებს საბანკო, საანგარიშსწორებო და სხვა ოპერაციებს;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს სააგენტოს სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

ვ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელებული სპეციალური შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, საშტატო განრიგის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს სააგენტოს აპარატისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;

თ) სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, წყვეტს სამსახურებრივ მივლინებათა საკითხებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

ი) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებებს და გამოსცემს სააგენტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სააგენტოს ყველა თანამშრომლისთვის;

კ) ახორციელებს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს საქმიანობის სახელწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.
2. სააგენტომ, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

4. სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წინაშე.

მუხლი 6. სააგენტოს სტრუქტურა

გადაწყვეტილებებს სტრუქტურული ერთეულების შექმნის და მათი გაუქმების, საშტატო განრიგისა და წლიური ბიუჯეტის შესახებ სააგენტო იღებს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 7. სააგენტოს ქონება და დაფინანსება

1. სააგენტოს, დასახული მიზნებისა და თავისი ფუნქციების შესრულების განსახორცილებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი სახელმწიფო ქონება.
2. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 8. სააგენტოს საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება
სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს.

მუხლი 9. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
1. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
ამ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე.